



რედაქტირებული და განხილულია ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

(ოქმი №24, 22.11.2013)

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს 2013 წ. 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით

N6/2013,

რექტორის 2013 წ. 25 ნომბრის ბრძანებით N108/07

თჰუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 იანვრის N 01/2019 გადაწყვეტილებით

თჰუ რექტორის 2019 წლის 18 იანვრის N16/07 ბრძანებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ჯანდაცვის ფაკულტეტი

პროგრამის დასახელება- სტომატოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტიმატოლოგი/Doctor of Dental Medicine/

მიმართულება - 09-ჯანდაცვა

დარგი / სპეციალობა – 0902 სტომატოლოგია

ქვედარგი/სპეციალიზაცია - 090201 დიპლომირებული სტომატოლოგი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და საათებით - 300 კრედიტი (7500 სთ.).

ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა, სემესტრის მანძილზე სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს

სწავლების ენა - რუსული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი - სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი: მედიცინის დოქტორი, თჰსუ პროფესორი ილონა საყვარელიძე /იხილეთ რეზიუმე)

1. სფეროს აღწერა და პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საქართველოს კანონით "საექიმო საქმიანობის შესახებ" საექიმო საქმიანობა არის: „მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“. წარმოადგენს რა წარმატებული საექიმო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას, დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ხარისხი, მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან (მათ შორის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებთან) მეტად აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. სამედიცინო საქმეში აუცილებელია არა მარტო თეორიული ცოდნის მიღება, არამედ კლინიკური უნარების გამომუშავება და ამ პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების/დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

XXI საუკუნეში სტომატოლოგია წარმოადგენს მედიცინის ფართო დარგს, რომელიც შედგება დამოუკიდებელი დისციპლინებისაგან, თითოეული მათგანი ინტენსიურად ვითარდება. მუდმივად იქმნება ახალი სამკურნალო ტექნოლოგიები და დიაგნოსტიკის მეთოდები. შესაბამისად, ექიმი-სტომატოლოგი უნდა იყოს საკმაოდ ერუდირებული, მაღალ დონეზე ფლობდეს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

შესაბამისად, უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის მიმართულების მიზანია მოამზადოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი ექიმი-ზოგადი პროფილის სტომატოლოგი, რომელსაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ: ეცოდინება საბაზისო ბიოსამედიცინო და სოციალური მეცნიერებები, შეიძენს ზოგად კლინიკურ უნარებს, ასევე გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევებს და გათვითცნობიერებულია სამედიცინო ეთიკაში.

პროგრამა ორიენტირებულია მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებზე და ითვალისწინებს სტომატოლოგიის სწავლების საერთაშორისო ტენდენციებს. ამასთან ერთად გათვალისწინებულია საქართველოს სტომატოლოგიური სკოლის მრავალწლიანი კლინიკური და პედაგოგიური გამოცდილება.

შესაბამისად, სტომატოლოგიის პროგრამა შედგენილია ისეთი თანმიმდევრობით, რომ სტუდენტები თავდაპირველად სწავლობენ ფუნდამენტურ და ზოგად კლინიკურ დისციპლინებს (ბიოლოგიას, ანატომიას, ნორმალურ და პათოლოგიურ ფიზიოლოგიას, სამედიცინო და ბიოლოგიურ ქიმიას, მიკრობიოლოგიას, იმუნოლოგიას, ბიოფიზიკას, ჰისტოლოგიას, პათოლოგიურ ანატომიას და სხვ.). ამ საგნების სწავლისას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება სტომატოლოგიის სპეციფიკურ საკითხებს.

სტუდენტები სპეციალობას ეცნობიან შესავალი კურსებით უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიებსა და კლინიკებში და იძენენ პრაქტიკულ უნარებს. შემდგომი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სპეციალიზებულ კლინიკებში, თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოპედიულ, ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიაში და სხვ.

სასწავლო პროგრამა დაფუძნებულია ადამიანის ორგანიზმის აგებულების, მასში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების, დაავადებათა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხების შესწავლაზე. პროგრამა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ადამიანის ორგანიზმის განვითარებას (ბიოლოგია, გენეტიკა, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია);
- ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მექანიზმებს (ბიოფიზიკა, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ჰიგიენა);
- დაავადების განვითარების მექანიზმებს (პათოლოგიური ანატომია, პათოლოგიური ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია);
- დაავადებათა კლინიკური გამოვლენის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის პრინციპებს. (ქირურგიული დაავადებანი, შინაგანი დაავადებანი, პედიატრია; ინფექციური დაავადებანი, კანის და ვენერიული დაავადებანი, ფსიქიატრია, ალერგოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია; თვალის დაავადებანი; სასამართლო მედიცინა; ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებანი, ნევროლოგია; მეანობა და გინეკოლოგია და სხვ.).

სპეციალობის სავალდებულო დისციპლინათა შორის იკითხება: სტომატოლოგიურ დაავადებათა პროპედევტიკა, ოპერაციული ოდონტოლოგია, კბილთა მწკრივის რესტავრაცია; სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები; ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია; პირის ღრუს ქირურგია; ყბა-სახის ქირურგია; ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია; პირის ღრუს, თავისა და კისრის რადიოლოგია; იმპლანტოლოგიის საფუძვლები; პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგია; ორთოდონტია და ბავშვთა პროთეზირება; ორთოპედიული სტომატოლოგიის სრული კურსი.

2. პროგრამის მიზანი:

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი საერთო სტომატოლოგიაში, აღზარდოს დიპლომირებული ექიმი-სტომატოლოგები, რომლებსაც:

- ექნებათ სტომატოლოგიური პრაქტიკის განსახორციელებლად საჭირო ცოდნა საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების შესახებ;
- ჩამოუყალიბდებათ ზოგადი კლინიკური უნარ-ჩვევები;
- შეეძლებათ აირჩიონ სამეცნიერო მეთოდები და გამოიყენონ ისინი პრაქტიკაში;
- შეეძლებათ კრიტიკულად შეაფასონ სამეცნიერო და კლინიკური სიახლეები და მათი დახმარებით გააუმჯობესონ პრაქტიკული საქმიანობა;
 - შეეძლებათ გააცნობიერონ უწყვეტი სტომატოლოგიური განათლების, პროფესიული განვითარებისა და ზრდის აუცილებლობა.

პროგრამის ამოცანები:

- ექიმი-სტომატოლოგის დიპლომამდელი მომზადება პროფესიული კომპეტენციის დადგენილი სტანდარტით;
- სტომატოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციისთვის აუცილებელი ძირითადი და კლინიკური ცოდნის გადაცემა;
- პროფესიული და კლინიკური უნარების ათვისება;
- პაციენტის მკურნალობის უნარის ფლობა და ჯანდაცვის სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, ცოდნის უნარის შექმნა და მათი გამოყენება ჯანდაცვის სისტემის საგანმანათლებლო საფუძვლების პრაქტიკაში.

3. დაშვების წინაპირობები

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოპოვებული აქვს სწავლის უფლება.
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
3. უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. რუსულ ენაში შიდა გამოცდის-ტესტირების გავლის შემდეგ B 1 დონეზე /მინიმალური გამსვლელი ქულა- 40 (იხილეთ ტესტები პროგრამის დანართებში) ან რუსული ენის B 1 დონეზე ფლობის საერთაშორისო ენობრივი სერთიფიკატი.

5. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის, დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

4. პროგრამის სწავლის შედეგები

დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადება უზრუნველყოფს რიგი კომპეტენციების ფორმირებას:

აკადემიური კომპეტენციები, რომელიც მოიცავს თეორიული და კლინიკური დისციპლინების ცოდნასა და სწავლის უნარს;

სოციალურ-პიროვნული კომპეტენციები, რომლებიც ორიენტირებულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს იდეოლოგიის, კულტურის, ფასეულობების ცოდნაზე, დეონტოლოგიისა და სამედიცინო ეთიკის ნორმების აუცილებლობასა და ცოდნაზე;

პროფესიული კომპეტენციები, რომლებიც მოიცავს ცოდნისა და უნარების ერთობლიობას პროფესიულ საქმიანობაში;

უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად და უნივერსიტეტის პროგრამიდან და მისიდან გამომდინარე, დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, კურსდამთავრებულს მიღწეული ექნება ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე:

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა მედიცინისა და სტომატოლოგიის სფეროში, რაც მისცემს შესაძლებლობას, შეიმუშაოს ახალი ორიგინალური იდეები და იცოდეს ამ სფეროში გარკვეული პრობლემების გადაჭრის გზები, კერძოდ:

ძირითადი და ზოგადი კლინიკური დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა და გაცნობიერება და მათი ურთიერთკავშირი სტომატოლოგიის საკითხებთან; სტომატოლოგიის სფეროში კვლევითი მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიების ღრმა

და სისტემური ცოდნა; სტომატოლოგიის სფეროში მყარი და სისტემური ცოდნის მიღება და უახლესი სამეცნიერო ცოდნის ათვისება; სამედიცინო დენტოლოგიის საფუძვლების ღრმა და სისტემური ცოდნა და სტომატოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები; ქსოვილებისა და პირის ღრუს დაავადებათა სემიოტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა; სტომატოლოგიაში პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლება; სამედიცინო პროფესიული სტომატოლოგიური ტერმინოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნა და გაგება მაღალ დონეზე; პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება და პროფესიული სამედიცინო ეთიკის ნორმების ცოდნა და დაცვა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, მედიცინისა და სტომატოლოგიის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრა, შეუძლია ახალი ორიგინალური გადაწყვეტილებების მოძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კერძოდ ბიოსამედიცინო მეცნიერების მიღწევების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში;

სტომატოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ძირითადი სტომატოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა, დაუფლებულია კლინიკურ, პრევენციისა და მკურნალობის საკითხებს; სტუდენტი მზად არის პრაქტიკული მუშაობისათვის ქირურგიულ, თერაპიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში; განვითარებული აქვს პრაქტიკული სტომატოლოგიური უნარ-ჩვევები; დაუფლებულია სტომატოლოგიურ ტექნოლოგიებს; გამომუშავებული აქვს სტომატოლოგიური მასალების, აპარატურისა და აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების უნარები; შეუძლია განახორციელოს დიფერენცირებული დიაგნოსტიკა, კვლევის მეთოდების შერჩევა, დაავადების კლინიკური შეფასება; მკურნალობის სტრატეგიის შემუშავება; შეუძლია შეაფასოს სტომატოლოგიური მომსახურების ეფექტურობა.

დასკვნის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტმა შეეძლება კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გააკეთოს დასაბუთებული დასკვნები კომპლექსური და არასრული სამეცნიერო ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევის) შესახებ. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლია სტომატოლოგიისა და მედიცინის სფეროში ინფორმაციის ინოვაციური ანალიზისა და სინთეზის ჩატარება.

სტუდენტს გამომუშავებული აქვს ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი სტომატოლოგიის სფეროში, ასევე პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები; სამეცნიერო და კლინიკური ინოვაციების კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის და მათი დახმარებით პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესების უნარი; აქვს სამეცნიერო მეთოდების შერჩევისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი; აქვს დაგეგმვის უნარ-ჩვევების დემონსტრირების, კვლევის წარმართვის, დასაბუთებული დასკვნისა და საბოლოო ანგარიშის ჩამოყალიბების უნარი; სამედიცინო ინფორმაციის მონაცემთა ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია.

კომუნიკაციის უნარი – სტუდენტს გამომუშავებული აქვს პროფესიული და აკადემიური სფეროს დასკვნების, არგუმენტაციისა და სამეცნიერო მეთოდების საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები რუსულ და უცხო ენაზე, აკადემიური სრულყოფილების სტანდარტებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევების გათვალისწინებით.

კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ დისკუსიაში, მოამზადოს წერილობითი ანგარიში და წარმოადგინოს სიტყვიერად კვლევის შედეგად მიღებული შედეგი; ფლობს დარგობრივ ლათინურ ენას, ისევე როგორც ევროპის ერთ-ერთ უცხო ენას B2.2 დონეზე, რაც ნიშნავს, რომ კურსდამთავრებულის კომუნიკაციის უნარი საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული, რაც მას საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილოს კომუნიკაციის საჭიროებები ურთიერთობის ყველა სფეროში, განახორციელოს პროფესიული საქმიანობა უცხო ენაზე, როგორც სამედიცინო პროფილის სპეციალისტმა.

კურსდამთავრებულს შეუძლია წაიკითხოს სხვადასხვა აღწერილობითი და ნარატიული ხასიათის ჟურნალისტური, მხატვრული და სპეციალური სამედიცინო ტექსტები, ასევე შერეული ტიპის ტექსტები მკვეთრად გამოხატული ავტორისეული შეფასებით.

1. შეუძლია ჩამოაყალიბოს გეგმები, თეზისები, შენიშვნები, გაგებულისა და წაკითხულის საფუძველზე; დაწეროს საკუთარი წერილობითი საინფორმაციო ხასიათის ტექსტები პირადი ან ოფიციალური საქმიანი წერილების ფორმით, აგრეთვე საქმიანი ტიპის ტექსტები (განცხადებები, მოთხოვნები, განმარტებითი წერილები და ა.შ.).
2. შეუძლია დიალოგის გაგება ყოველდღიურ თემებზე მოსაუბრის მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულების დახმარებით; შეუძლია რადიო ახალი ამბების, სარეკლამო განცხადებების, ინტერპერსონალური ურთიერთობების მკაფიოდ განსაზღვრული ხასიათის დიალოგების, მხატვრული ფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების გაგება.

3. შეუძლია დიალოგში მონაწილეობა, სიტყვიერი კომუნიკაციის წინასწარ შემოთავაზებული ტაქტიკის განხორციელება; შეუძლია დიალოგის-გამოკითხვის წამოწყება; მოგვითხრობს ნანახის შესახებ, გამოხატავს საკუთარ აზრს და აძლევს შეფასებას ნანახს, განიხილავს პრობლემას თავისუფალი საუბრის დროს;
4. შეუძლია ადეკვატურად აღიქვას და გამოიყენოს ენის ლექსიკური და გრამატიკული საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამონათქვამის სწორ ენობრივ გაფორმებას.

ლექსიკური მინიმუმის რაოდენობა უნდა იყოს 10 000 ერთეული.

სტუდენტს შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს ინფორმაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები სამედიცინო ასპექტში, კერძოდ: სტომატოლოგიური ტექნოლოგიების ათვისება; საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურსების გამოყენება, მათ შორის ცხრილების, ტექსტებისა და სხვა სპეციალური პაკეტების დამუშავება; სტომატოლოგიის სფეროში არსებული ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებელი ათვისება; სამედიცინო ინფორმაციის დამუშავების პროცესების ცოდნა და ექიმი-სტომატოლოგის პროფესიულ საქმიანობაში საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ინტერნეტში სტომატოლოგიური ინფორმაციის მოძიებისა და სამედიცინო მონაცემთა ბაზებთან მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება.

სწავლის უნარი

სტუდენტს ათვისებული აქვს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები, აცნობიერებს სასწავლო პროცესის თავისებურებებს და ათვისებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მაღალი დონე, აქვს უნარი მართოს საკუთარი სწავლის პროცესი სტომატოლოგიის სფეროში არსებული რესურსებისა და მასალების გამოყენებით; აქვს განსაკუთრებულ სასწავლო გარემოში სწავლის უნარი; შეძენილი აქვს საჭირო ცოდნა და უნარები სწავლის გასაგრძელებლად შემდეგ საფეხურზე. გაცნობიერებული აქვს უწყვეტი სტომატოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა.

ღირებულებები

პროგრამის სასწავლო დისციპლინები საშუალებას აძლევს სტუდენტს შეაფასოს მისი და სხვების დამოკიდებულება ღირებულებებთან მიმართებით და შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში. ექიმ-სტომატოლოგისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამედიცინო და საექიმო ეთიკის დამცველის მენტალიტეტის ჩამოყალიბება, მისი მონაწილეობა დარგობრივი ღირებულებების

დამკვიდრებაში (ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მკურნალობის შემსუბუქება და მათი პრაქტიკაში დანერგვა). ღრმად და საფუძვლიანად აქვს გაცნობიერებული ეთიკისა და დეონტოლოგიის წესები, „ექიმი-პაციენტის“ ურთიერთობის სამართლებრივი ნორმები.

5. პროგრამის სტრუქტურა:

დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 300 ECTS კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:

19 (ECTS) კრედიტი - ზოგადსაგანმანათლებლო სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორის, ერთ-ერთი უცხო ენა სტუდენტის არჩევანის მიხედვით/ინგლისური ან გერმანული/;

73 (ECTS) კრედიტი-ფუნდამენტურ დისციპლინათა მოდული;

60 (ECTS) კრედიტი-ზოგად კლინიკურ დისციპლინათა მოდული;

148 (ECTS) კრედიტი- სტომატოლოგიის მოდული, რომელიც იყოფა რამდენიმე სპეციალიზირებულ მოდულად:

35 (ECTS) კრედიტი-თერაპიული სტომატოლოგიის მოდული;

28 (ECTS) კრედიტი-ქირურგიული სტომატოლოგიის მოდული;

28 (ECTS) კრედიტი-ორთოპედიული სტომატოლოგიის მოდული;

47 (ECTS) კრედიტი-ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიის მოდული;

10 (ECTS) კრედიტი-სპეციალობის არჩევითი საგნები.

6. სწავლების ფორმატი

ლექცია, როგორც სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადდიაქტიკური სწავლების მეთოდი, პირველ რიგში, გამოიყენება უმაღლეს სკოლაში. ლექცია სწავლების სხვა ფორმებისგან განსხვავებით, გამოირჩევა მიწოდებული ინფორმაციის სიუხვით, იგი, როგორც წესი, ეძღვნება მიზეზ-შედეგობრივი ხასიათის რთული სისტემების, კავშირების, დამოკიდებულებების აღწერას. მისი ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, ორი აკადემიური საათია. ლექციის ეფექტურობის პირობაა, რომ სტუდენტმა იცოდეს არა მარტო ლექციის თემები, არამედ მისი საბოლოო გეგმაც, გეგმის ყველა მონაკვეთის შინაარსის თანმიმდევრული პრეზენტაცია თითოეული მათგანის დასკვნებთან ერთად, გეგმის ყველა ნაწილის წარდგენა ერთი თემით, ლექციის ცენტრალური იდეით; კავშირის დამყარება ლექციის თითოეული ნაწილს შორის, ლოგიკური "ხიდების", გადასვლების

გამოყენება მის ნაწილებს შორის; ემოციური გადმოცემა, რომელიც მიიღწევა ნათელი ფაქტების, ცოცხალი ენის, იუმორის ელემენტების გამოყენებით; ლექციის ოპტიმალური ტემპი, რაც საშუალებას აძლევს მსმენელებს, ჩაიწერონ მისი ძირითადი თეზისები, განმარტებები; თვალსაჩინოების მასალების, სქემების, ილუსტრაციების, ვიდეო- და აიდიო-მასალების გამოყენება; კავშირის დამყარება სალექციო მასალასა და მომდევნო სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობების პრობლემებთან.

პრაქტიკული მეცადინეობა

უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პროცესი პრაქტიკულ გაკვეთილებს ითვალისწინებს. მათი მიზანია დისციპლინის სიღმისეული შესწავლა. პრაქტიკული გაკვეთილის ფორმები მრავალფეროვანია.

პრაქტიკული სავარჯიშოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტუდენტის ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაში პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად პედაგოგთან ერთად. უმცროს კურსებზე პრაქტიკული მეცადინეობა ყოველ 2-3 ლექციაზე ტარდება და აგრძელებს ლექციაზე დაწყებულ სამუშაოს.

პრაქტიკული მეცადინეობის სტრუქტურა

ნებისმიერი პრაქტიკული მეცადინეობის უმნიშვნელოვანესი მხარეა *სავარჯიშოები*. სავარჯიშოს საფუძველია მაგალითი, რომლის განხილვაც ხდება ლექციაზე განვითარებული თეორიის პოზიციიდან. როგორც წესი, ყურადღება გამახვილებულია კონკრეტული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტების საქმიანობას - პრობლემის გადაჭრას, გრაფიკულ სამუშაოს, კატეგორიების განმარტებას და მეცნიერების ცნებებს, რაც, თავის მხრივ, სწორი აზროვნებისა და მეტყველების წინაპირობაა. სტუდენტებთან სავარჯიშოებზე მუშაობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აღქმისა და გააზრების უნარების ჩამოყალიბებას.

მეცადინეობის მიზანი ნათელი უნდა იყოს არა მარტო პედაგოგისთვის, არამედ სტუდენტისთვისაც. პრაქტიკული გაკვეთილები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სტუდენტები მუდმივად გრძნობდნენ შესასრულებელი დავალებების მზარდ სირთულეს, განიცდიდნენ დადებით ემოციებს საკუთარი წარმატების განცდით, იყვნენ დატვირთული დამაბული შემოქმედებითი სამუშაოთი, სწორი და ზუსტი გადაწყვეტილებების ძიებით. დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ მიდგომას და ნაყოფიერ პედაგოგიურ ურთიერთობას. სტუდენტს საშუალება უნდა მიეცეს, წარმოაჩინოს თავისი შესაძლებლობები, საკითარი პიროვნული პოტენციალი. ამიტომ, დავალებისა და გაკვეთილის გეგმის შემუშავებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ჯგუფის თითოეული სტუდენტის მომზადების დონე და ინტერესები;

შეასრულოს კონსულტანტის როლი და ხელი შეუწყოს სტუდენტების დამოუკიდებლობასა და ინიციატივას.

სემინარი/ჯგუფური მუშაობა

სემინარი პრაქტიკული მეცადინეობის ერთ-ერთი ძირითადი ტიპია, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

სემინარი მიზნად ისახავს დისციპლინის სიღრმისეულ შესწავლას, თეორიული ცოდნის გამოყენების უნარების დაუფლებას სასწავლო დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

სემინარებზე ხდება შემდეგი პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტა:

- სასწავლო დისციპლინის ცოდნის კონსოლიდაცია, გაღრმავება და გაფართოება;
- სასწავლო დისციპლინის თეორიული ცნებების და კონცეპციების ანალიზის პრაქტიკული მეთოდების სწავლება სტუდენტებისათვის;
- ლიტერატურული წყაროების შესწავლა და ანალიზი სასწავლო დისციპლინის კონკრეტულ საკითხზე.

სემინარის მიზანი – შემეცნებითი უნარების, დამოუკიდებელი აზროვნების და სტუდენტის შემოქმედებითი აქტივობის განვითარება.

სემინარის ფორმები:

ჩაღრმავებული საუბარი. ამ ფორმით სემინარის ჩატარების შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ წინასწარ. სასემინარო მეცადინეობის შეკითხვები რამდენიმე ქვე-კატეგორიად იყოფა. ამ ფორმის სემინარი ტარდება მაშინ, როდესაც სახეზეა სპეციალისტების მრავალფეროვანი შეხედულებები მოცემული საკითხის ირგვლივ. სტუდენტები წარმოადგენენ მცირე ზომის ანგარიშებს სემინარის მონაწილეთა დისკუსიის შედეგად.

სემინარი-„ტვინის შტურმი“ - არის ეფექტური გზა კოლექტიური შემოქმედებითი საქმიანობის გასააქტიურებლად. მისი არსი მდგომარეობს ჰიპოთეზების წარმოდგენასა და მათ კრიტიკულ შეფასებაში. „იდეების გენერატორების“ ჯგუფი, გამოყოფილ დროის განმავლობაში, წარმოადგენს ჰიპოთეზების მაქსიმალურ რაოდენობას (ნებისმიერი ჰიპოთეზა). ექსპერტთა ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას ჰიპოთეზების ღირებულების შესახებ.

სემინარი – საქმიანი თამაში - არის სპეციალისტის მომავალი პროფესიული საქმიანობის საგნობრივი და სოციალური შინაარსის რეკონსტრუქციის ფორმა, ურთიერთობის ისეთი სისტემების მოდელირება, რაც დამახასიათებელია ამ ტიპის საქმიანობისთვის; სხვა სიტყვებით, საქმიან თამაშში რეპროდუცირებულია პროფესიული გარემო, რომელიც მისი ძირითადი არსებითი მახასიათებლებით რეალური გარემოს მსგავსია. ამასთან ერთად, საქმიან თამაშში გამოყენებულია მხოლოდ ტიპიური, განზოგადებული სიტუაციები დროის შეზღუდულ მონაკვეთში. საქმიან თამაშში სტუდენტი ახორციელებს

საქმიანობას, რომელიც თავის თავში გულისხმობს სამეცნიერო და პროფესიულ ელემენტებს.

7.სწავლების მეთოდები

დისკუსია - დისკუსიის მეთოდის არსი წარმოადგენს საგანმანათლებლო ჯგუფში კონკრეტულ პრობლემაზე მოსაზრებების გაცვლას. დისკუსიის უპირატესობა მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესის სტიმულირების პროცესშია.

დისკუსია უნდა მომზადდეს, პირველ რიგში, შინაარსობრივ ასპექტში. თემის ცოდნის გარეშე დისკუსია არაპროდუქტიული იქნება. კარგად მომზადებული დისკუსია იძენს სამეცნიერო კამათის, „ტვინის შტურმის“ ხასიათს. დისკუსიის მსვლელობისას მსმენელებს უძლიერდებათ თავიანთი აზრების ნათლად და ზუსტად გადმოცემის, კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენის უნარი. დისკუსიის აღმზრდელობითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვებმარება მისი მონაწილეების ხასიათის თავისებურებების, მათი ქმედების ნაკლოვანებების გამოვლენაში, მაგალითად, როგორცაა, უპატივცემულობა თანამოსაუბრის მიმართ. მოუთმენლობის გამოჩენა, და ა. შ.

წიგნზე მუშაობა, პირველ ყოვლისა, სახელმძღვანელოზე მუშაობა, სწავლების მნიშვნელოვან მეთოდად იქცა მას შემდეგ, რაც ამქვეყნად გაჩნდა წიგნი. ელექტრონული წიგნების გამოჩენის პარალელურად, მის როლი სწავლებაში კიდევ უფო გაიზარდა. როგორც აღინიშნა, წიგნი, როგორც სწავლების შინაარსის ერთ-ერთი ძირითადი მატარებელი, მოწოდებულია შეასრულოს სწავლების პროცესის ყველა მთავარი ფუნქცია: სწავლების, აღმზრდელობითი და მაკონტროლებელი. რასაკვირველია, ნებისმიერ წიგნზე მუშაობის დროს, აუცილებელია დავიცვათ გარკვეული წესები: წიგნზე მუშაობა უნდა დავიწყოთ მისი გამოცემის დეტალების გარკვევით: ავტორი, გამოცემის თარიღი და ადგილი. ეს მონაცემები უკვე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიან, თუ რამდენად მიზანშეწონილია წიგნის გამოყენება. შემდეგ, თვალი უნდა გადაავლოთ წიგნის შინაარსს სარჩევში მითითებული სათაურების გათვალისწინებით და ამით, კიდევ ერთხელ, დარწმუნდეთ მისი გამოყენების მიზანშეწონილობაში. შემდეგი ეტაპია წიგნის შინაარსის დეტალური გაცნობა, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფა და, საჭიროების შემთხვევაში, წიგნის სხვადასხვა ფრაგმენტების ამონაწერების ან ასლების გაკეთება, პირველ რიგში, ეს შეეხება სქემებს, ცხრილებს, დიაგრამებს.

ვიდეო მეთოდი, რომელიც ჩამოყალიბდა სხვადასხვა აუდიოვიზუალური ტექნიკური საშუალებების, მათ შორის კომპიუტერების, საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკაში მასიური შეღწევის, ასევე შეუზღუდავი საინფორმაციო შესაძლებლობების მქონე ინტერნეტით სარგებლობის პირობებში. ამ საშუალებებს შეუძლიათ მთელი რიგი

დიდაქტიკური ფუნქციების შესრულება: ცოდნის გადაცემა, განმეორება, კონტროლი. ფაქტიურად, საუბარია ახალ კომპლექსურ დიდაქტიკურ ტექნოლოგიაზე. ვიდეო მეთოდის ეფექტურობა უკავშირდება ვიზუალურ ზემოქმედებას, რომელთა დიდაქტიკური როლი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილია ელექტრონული სავარჯიშოების, ტესტების სახით. ცხადია, ვიდეო-მეთოდის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პროგრამული მასალის ხარისხზე, რომელთა შექმნაც მხოლოდ პედაგოგისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის ერთობლივი მუშაობის შედეგად არის შესაძლებელი.

სასწავლო თამაშის მეთოდი ეფუძნება ადამიანის განსაკუთრებულ სიყვარულს სხვადასხვა ტიპის თამაშების მიმართ. ამიტომ მას, ხანდახან, Homo ludens- „მთამაშე ადამიანს“ უწოდებენ. ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-პოლ სარტრის (1905-1980) აზრით: „ადამიანმა უნდა აირჩიოს, იყოს არარაობა, თუ ითამაშოს“. სასწავლო თამაშის არსი მდგომარეობს სხვადასხვა რეალური სიტუაციების მოდელირებაში. თამაშის დროს გამარტივებულ ფორმაში ხდება რეალობის მოდელირება, ხოლო მონაწილეების ქმედება რეალური ქმედებების იმიტაციაა. მეთოდის მთავარი დანიშნულებაა შემეცნებითი პროცესის სტიმულირება მასში მონაწილე პირთა მიერ რეალობის აქტიური გარდაქმნის გზით.

- ახალი ცოდნის და უნარების ფორმირების მეთოდები;
- განმტკიცების მეთოდები;
- კონტროლის მეთოდები.

ასევე გამოიყენება ზოგადდიდაქტიკური მეთოდები:

- განმარტებითი-საილუსტრაციო;
- რეპროდუქციული;
- პრობლემის გადმოცემა;
- ნაწილობრივ-საძიებო (ევრისტიკული);
- კვლევითი.

განმარტებითი-საილუსტრაციო, ანუ საინფორმაციო-აქტიური მეთოდი გულისხმობს პედაგოგის მიერ შეწავლის ობიექტის შესახებ ინფორმაციის გადმოცემას სხვადასხვა საშუალებებით, ხოლო სტუდენტი მას აღიქვამს, აცნობიერებს და იმახსოვრებს გრძნობის ყველა ორგანოს საშუალებით. ეს ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიური მეთოდია ახალი თაობისთვის კაცობრიობის მიერ დაგროვილი განზოგადებული და სისტემური გამოცდილების გადასაცემად. მეთოდი არ აყალიბებს ამ ცოდნის გამოყენების უნარებს, არამედ უზრუნველყოფს პირველი დონის რეპროდუქციულ საქმიანობას- პირველი დონის გაცნობიერებას და ცოდნას- შეხვედრა (გაცნობა) ცოდნასთან.

რეპროდუქციული მეთოდი გულისხმობს პედაგოგის მიერ სტუდენტისთვის დავალებების შემუშავებას მის მიერ ცოდნის ან უნარების გამოყენების მიზნით (ამოცანების ამოხსნა, კვლევის ჩატარება, დასკვნების გაკეთება, და ა.შ) საქმიანობის ტიპი-რეპროდუქციული, გონებრივი დატვირთვის მე-2 დონე — გარდაქმნა, ცოდნის მე-2 დონე-ცოდნის კოპირება. ამ მეთოდს სხვადასხვა ფორმები გააჩნია (წერიითი, ზეპირი, ინდუქციური, დედუქციური).

პრობლემის დასმა, მეთოდი გულისხმობს, რომ პედაგოგი წამოწევს პრობლემას და თავადვე წარმოადგენს მისი ამოხსნის წინააღმდეგობრივ და ლოგიკურ გზას, აძლევს რა სტუდენტს ამ ლოგიკის კონტროლის საშუალებას, ხელს უწყობს კითხვების დასმას და უჩვენებს სტუდენტს აზროვნების უფრო მაღალ დონეს. არსი მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტი, გადმოცემის ლოგიკის გათვალისწინებით, ითვისებს პრობლემის გადაწყვეტის ეტაპებს. მასალის პრობლემური პრეზენტაცია იწვევს სტუდენტის აზროვნების გააქტიურებას, ინფორმაციული მეთოდისგან, ანუ მზა დასკვნების გადაცემისგან განსხვავებით, რომელსაც ითვალისწინებს განმარტებითი-საილუსტრაციო მეთოდი. პრობლემის პრეზენტაციის დროს სტუდენტი ეზიარება ცოდნის ძიების საშუალებებს, ერთვება მეცნიერული ძიების ატმოსფეროში და თითქოს სამეცნიერო აღმოჩენის მონაწილე ხდება. სტუდენტი მსმენელია, მაგრამ არა პასიური.

ნაწილობრივ-სადიებო (ევრისტიკული) მეთოდი- მისი მიზანია სტუდენტების თანდათანობითი ჩართულობა პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტაში, ინდივიდუალური ნაბიჯების გადადგმა პრობლემის გადაჭრის მიზნით, კვლევის სხვადასხვა ტიპების შესრულება დამოუკიდებელი აქტიური ძიების გზით. ამასთანავე, სტუდენტის ჩართვა ძიებაში შესაძლებელია მეცადინეობის სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული მეთოდების გათვალისწინებით. ამ მეთოდის რეალიზების გზებია: ა. ევრისტიკული საუბარი, ანუ პედაგოგის სტუდენტთან ურთიერთობის ფორმა: შეკითხვა-პასუხი. დიდაქტიკოსების აზრით, შემეცნებითი აქტივობის სტიმულირებისთვის შეკითხვებს თითქმის პირველხარისხიანი მნიშვნელობა გააჩნია. ევრისტიკული საუბრის არის იმაში მდგომარეობს, რომ პედაგოგი წინასწარ მოიფიქრებს შეკითხვათა სისტემას, რომელთაგანაც თითოეული სტუდენტს მცირე ძიებისკენ უბიძგებს.

წინასწარ მომზადებული შეკითხვათა სისტემა განსაზღვრულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1) სტუდენტის შემეცნებითი აქტიურობის მაქსიმალური სტიმულაცია; 2) ამასთან, სტუდენტი იყენებს რა ცოდნის არსებულ ბაზას, პასუხის დროს უნდა ისწრაფვოდეს ახალი ინფორმაციის მოსაძიებლად. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიწვევს პასუხი ინტელექტუალურ სირთულეს და მიზანმიმართულ სააზროვნო პროცესს. შეკითხვათა სისტემა შეკრული უნდა იყოს ლოგიკური ჯაჭვით. პედაგოგი ამზადებს არა მხოლოდ შეკითხვებს, არამედ მათზე სავარაუდო პასუხებს და შესაძლო

„მინიშნებებს“ (გაიხსენეთ სოკრატეს მეთოდი!). საბოლოოდ, პედაგოგი თვითონ აჯამებს მთავარს. ეს მეთოდი უფრო დიდ პედაგოგიურ პროფესიონალიზმს მოითხოვს მასწავლებლისგან, ვიდრე მეცადინეობის ჩატარება განმარტებითი-საილუსტრაციო მეთოდით.

ნ. სტუდენტების მიერ ჰიპოთეზების წამოწევა სასწავლო პრობლემის გადაწყვეტის დროს. სამეცნიერო კვლევების უდიდესი როლის გათვალისწინებით, ჩვენ ხშირად ნაკლებად ვაფასებთ სტუდენტთა ჰიპოთეზების ადგილსა და როლს სხვადასხვა საგნის სწავლების დროს. ამ მეთოდის ეფექტური კომბინაცია ექსპერიმენტულ კვლევებთან, საშუალებას გვაძლევს სწავლების დროს განვახორციელოთ სამეცნიერო შემეცნების გზა: „პრობლემიდან ჰიპოთეზამდე, ჰიპოთეზიდან ექსპერიმენტამდე, ექსპერიმენტიდან დასკვნების თეორიულ გააზრებამდე“, შემდეგ ახალ პრობლემამდე, უფრო მეტიც, სტუდენტი აქტიურად, დამოუკიდებლად გაივლის ამ გზას, ახორციელებს რა ნაწილობრივ მიებას პრობლემის კვლევის მიზნით.

კვლევითი მეთოდი ეფუძნება კვლევითი დავალებებისა და პრობლემური ამოცანების ჩამოყალიბებას, რომელთა გადაწყვეტაც ხდება სტუდენტის მიერ პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ. კვლევითი მეთოდი უზრუნველყოფს სტუდენტის პროდუქტიულ საქმიანობას ყველაზე მაღალ დონეზე.

ყველა მეთოდს განსაზღვრული სტრუქტურა გააჩნია- ინდუქციური, დედუქციური ან ინდუქციურ-დედუქციური (კერძოდან ზოგადისკენ და პირიქით). თითოეული მეთოდი უზრუნველყოფს კონკრეტული საქმიანობის ტიპს და გონებრივი საქმიანობისა და ცოდნის დონეს. სწავლების მიზნების მისაღწევად გამოიყენება კერძო დიდაქტიკური მეთოდები, საშუალებები, საორგანიზაციო სისტემები და ფორმები. ისინი ხშირად ხასიათდება პედაგოგისა და სტუდენტის საქმიანობათა მიხედვით: ლექცია, თხრობა, საუბარი, სახელმძღვანელოზე მუშაობა, კვლევები, შრომითი ოპერაციები, თვალსაჩინო მასალები, დაკვირვებები, სავარჯიშოები და ა.შ. ცოდნის მიღების წყაროს მიხედვით, კერძო დიდაქტიკური მეთოდები სამ ჯგუფად იყოფა: ვერბალური (მოსმენა, აუდიო-ვიზუალური, წიგნი და ა.შ.), თვალსაჩინო (დიაფილმი, ფილმი, ვიდეო, ილუსტრაცია) და პრაქტიკული.

ამასთან ერთად, სწავლების პროცესში ხდება პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ინტეგრაცია, რაც გულისხმობს კლინიკური უნარების განვითარებას ვირტუალურ სიმულაციურ ცენტრში (თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკის ბაზაზე მეორე კურსისთვის და სტომატოლოგიური კლინიკების ბაზაზე მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კურსებისთვის). სწავლების პროცესში პრიორიტეტი ენიჭება უახლესი ტექნოლოგიების და სწავლების მეთოდების

გამოყენებას, რაც აპრობირებულია მსოფლიო სამედიცინო მეცნიერებაში. ამ მეთოდებს მიეკუთვნება:

- „ფანტომების“ გამოყენება,

- სტუდენტური პორტფოლიო, რომელიც ასახავს მათი მუშაობის ხარისხს სწავლების ხუთი წლის განმავლობაში.

ამ მეთოდების გარდა, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები:

- ინტერაქტიური ლექცია, ჯგუფური მუშაობა;

- სწავლება კლინიკურ გარემოში;

- სტუდენტები ექიმისა და პაციენტის როლში (როლური სიტუაციური თამაშები);

- ავადმყოფობის ისტორიის კლინიკური გარჩევა;

- ლაბორატორიული სწავლება;

- სასწავლო პრაქტიკა;

- კლინიკური პრაქტიკა;

- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება მულაჟებზე და ხელოვნურ კბილებზე;

ყოველივე ეს ხელს უწყობს სწავლების პროცესის აქტივაციას, სტუდენტის შემეცნებითი საქმიანობის სტიმულირებას, პროფესიულად აზროვნებას და ცოდნის დამოუკიდებლად გადრმავებას.

8. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა ეფუძნება „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრულ და მის საფუძველზე დამტკიცებულ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემა.

მოცემული შეფასების სისტემა მრავალკომპონენტია და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- **აქტიურობა** - პრაქტიკული, სასემინარო მუშაობა, საშინაო დავალება, რეფერატი, პრეზენტაცია, ესეს დაწერა, დისკუსია ან სხვა აქტივობა (პედაგოგის არჩევანისა და დისციპლინის სპეციფიურობის გათვალისწინებით) - **მაქსიმუმ 30 ქულა.**

შუალედური გამოცდა - **მაქსიმუმ 30 ქულა**

- **დასკვნითი გამოცდა** - კომბინირებული - წერიითი - ზეპირი (20+20 ქულა) - **მაქსიმუმ 40 ქულა**
- **სულ-მაქსიმუმ 100 ქულა**
- **დასკვნით გამოცდაზე** სტუდენტს მოეთხოვება დაამტკიცოს გავლილი მასალის ცოდნა. **დასკვნითი გამოცდა** ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი მიიღებს მაქსიმალური შეფასების 51%-ს (21 ქულა 40 ქულიდან).

სტუდენტის მიღწევების შეფასების საერთო სისტემა:

- კრედიტის ჩათვლა შესაძლებელია სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების გზით;
- შეფასება ითვალისწინებს საერთო ქულას, რომელსაც სტუდენტი მიიღებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგად;
- სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება-100 ქულა;
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება მინიმალური 51 ქულის გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებების ჯამს (11+40 ქულა).
- დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება მიმდინარე სემესტრში (ტრიმესტრში) არა უადრეს 10 დღისა უარყოფითი შეფასების - FX - ვერ ჩააბარა(41-50)- მიღების შემდეგ დასკვნით გამოცდაზე.

საერთო სისტემა შემდეგნაირად გამოიყურება:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

- სასწავლო საგნების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურად მოცემულია სილაბუსებში თითოეული შესასწავლი დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით.

8.1 სასწავლო და კლინიკური პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებად იყოფა:

სასწავლო კურსის შეფასება მაქსიმუმ - 100 ქულა.

ა) შუალედური შეფასება ჯამურად შეადგენს 60 ქულას, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - მაქსიმუმ 30 ქულა

შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 30 ქულა

ბ) დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა

9. დასაქმების სფეროები და სწავლის გაგარძელების შესაძლებლობა

სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს იმუშაოს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამედიცინო დაწესებულებებში, სპეციალიზებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში, პოლიკლინიკების სტომატოლოგიურ განყოფილებაში, კერძო სტომატოლოგიურ კაბინეტებში. დიპლომირებულ სტომატოლოგს შეუძლია:

- გაიაროს რეზიდენტურა და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მიიღოს დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება სტომატოლოგიური პროფილის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში (მათ შორის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ჰოსპიტლებში), რომელიც არ ითვალისწინებს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას;

- იმუშაოს უმცროს ექიმად ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან და სამედიცინო მომსახურებასთან;

- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა და გაარძელოს სწავლა ამავე სპეციალობით შემდეგ საფეხურზე- რეზიდენტურასა და დოქტორანტურაში.

10. პროგრამის ანალოგები

ანალოგიური და მსგავსი პროგრამები ხორციელდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში და სხვ. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა მობილობა სწავლის პერიოდში. [/www.tsmu.edu.ge](http://www.tsmu.edu.ge), www.tsu.ge, <http://www.gruni.edu.ge/> და სხვ. მათ შორის უკანასკნელთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი.

11. სასწავლო პროგრამით სწავლების ორგანიზების სქემა

პროგრამას ხელმძღვანელობს ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სტომატოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი- ილონა საყვარელიძე. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს, აღნიშნული პროგრამის სასწავლო კურსების, შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალითა და მოწვეული პედაგოგებით დაკომპლექტებას. სტუდენტთა სასწავლო/კვლევითი პრაქტიკის გავლის მიზნით აფორმებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სამედიცინო დაწესებულებებთან, სტომატოლოგიურ კლინიკებთან და სხვა სასწავლო/კლინიკურ ბაზებთან. კოორდინაციას უწევს თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის სამედიცინო კლინიკისა და ლაბორატორიის მუშაობის პროცესს.

12. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო-მეთოდური უზრუნველყოფა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ტიპის დისციპლინურ და ინტერ-დისციპლინურ მომზადებას, სტუდენტების სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას, რაც გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო გეგმით: უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს: სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც ტარდება ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები, სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური სასწავლო ავეჯით და ტექნიკური საშუალებებით ფართო აუდიტორიისთვის სასწავლო ინფორმაციის გადასაცემად. დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი სივრცეები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტ ქსელით. სტუდენტების განკარგულებაშია უნივერსიტეტის მდიდარი ბიბლიოთეკა წიგნადი და ელექტრონული ფონდით, მონაცემთა ბაზებით (OPEN BIBLIO), უზრუნველყოფილია წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე (EBSCOHost (<http://search.epnet.com>) (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები) და სხვადასხვა უფასო საბიბლიოთეკო ბმულებზე <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/>.

გთხოვთ, დანართებში იხილოთ:

- ა) პროგრამის სტრუქტურა
- ბ) პროგრამის სასწავლო გეგმა
- გ) სწავლის შედეგების რუკა
- დ) ინფორმაცია პროგრამის ადამიანური რესურსების შესახებ
- ე) პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე